

ინფორმაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 8 ნოემბრის N21/6707 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ

| N | შენიშვნის შინაარსი   | გამას კომენტარი   |
|---|--|---|
| 1 | სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოში ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობის შესახებ (ობიექტი, სადაც ინახება ნარჩენების 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის, ან 1 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის). წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავებში აღნიშნულია, რომ წარმოების პროცესში წარმოქმნილი წიდა დროებით განთავსდება საპროექტო ტერიტორიაზე. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რა პერიოდულით მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე წიდას განთავსება; | შენიშვნა გათვალისწინებულია:<br><br>იხილეთ გზმ-ს ანგარიში პარაგრაფი 6.6.   |
| 2 | გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობის პროექტის მიხედვით, დაახლოებით 72%-ით გაიზრდება საწარმოს წარმადობა, რაც დაკავშირებული იქნება გამოყენებული ნედლეულის, ელექტროენერგიის და სხვა რესურსების რაოდენობის ზრდასთან. მოხმარებული რესურსების რაოდენობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 4.3.1.“ თუმცა ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გაზრდილი წარმადობის (300 000 ტ/წ) შეძლებისათვის პროდუქციის წარმოებაზე გაიზრდება მხოლოდ ელექტროენერგიის მოხმარება. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ელექტროენერგიის გარდა რომელ რესურსებზეა საუბარი;  | შენიშვნა გათვალისწინებულია:<br><br>იხილეთ გზმ-ს ანგარიში პარაგრაფი 4.3. როგორც პარაგრაფშია მოცემული 1 ტონა პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული რესურსების ზრდას ადგილი არ აქვს, მაგრამ პროდუქციის რაოდენობის 72%-ით გაზრდა გამოიწვევს მოხმარებული ჯვართის და სხვა მასალების რაოდენობის შესაბამის ზრდას.<br><br>საწარმოს წარმადობის გაზრდა მოხდება მიწოდებული ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდის და ფოლადსაღნობი დუმილის 24 საათიანი მუშაობის რეჟიმზე გადაყვანის საშუალებით. (ამჟამად დუმილის მუშაობს 12 საათიანი რეჟიმით ქვეყანაში ჯვართის ნაკლებობიდან გამომდინარე) |
| 3 | ამასთან, დოკუმენტის თანახმად, საწარმოს წარმადობის გაზრდა მოხდება მხოლოდ არსებული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებით, ფოლადის დნობის პროცესის ოპტიმიზაციით, კერძოდ: სადნობ ღუმელებზე მიწოდებული ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდით. დამატებით განმარტებას საჭიროებს საწარმოო დანადგარების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ გაზრდილი ელექტროენერგიის მიწოდებისა და წარმადობის გაზრდის შესაძლებლობის თაობაზე;   | შენიშვნა გათვალისწინებულია:<br><br>იხილეთ გზმ-ს ანგარიში პარაგრაფი 4.3., როგორც პარაგრაფშია მოცემული, ამჟამად ტრანსფორმატორიდან ელექტროენერგია მიეწოდება ნაკლები სიმძლავრით (24 მგვტ), როდესაც წარმოება გაიზრდება 300 000 ტონა/წ-მდე, ენერგიის  |

|      |   |  |
|------|---|--|
|      | წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ელექტრორკალური ღუმელის წარმადობა შეადგენს 35 ტ/სთ-ს (თავი 6.3.2.1.27), თუმცა, 2007 წლის გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ელ-რკალური ღუმელის წარმადობაა - 30 ტ/სთ. გარდა ამისა, 2018 წელს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა (შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე - სათადარიგო ღუმელის მოწყობა-ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე - სათადარიგო (ბრძანება N2-724; 30/08/2018), ასევე 2021 წელს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა (შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (აირგამწმენდი სისტემის 480 000 მ³/სთ წარმადობის გამწოვი ვენტილატორის ახალი 560 000 მ³/სთ წარმადობის ვენტილატორით შეცვლა, არსებული მექანიკური გამაგრებების თანამედროვე ტიპის გამაგრებებით შეცვლა და 70 000 მ³/სთ წარმადობის დამატებითი ვენტილატორის მოწყობა) და შესაბამის სკრინინგის გადაწყვეტილებაში (ბრძანება N2-212; 16/02/2021) აღნიშნულია, რომ ელექტრორკალური ღუმელის წარმადობა შეადგენს 30 ტ/სთ-ს. შესაბამისად, ელექტრორკალური ღუმელის წარმადობა საჭიროებს დაზუსტებას; | მოწოდება მოხდება ტრანსფორმატორის ფაქტიური სიმძლავრით 35 მგვტ-ით.   |
| 4    | წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში თანახმად, ელექტრორკალური ღუმელის წარმადობა შეადგენს 35 ტ/სთ-ს (თავი 6.3.2.1.27), თუმცა, 2007 წლის გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ელ-რკალური ღუმელის წარმადობაა - 30 ტ/სთ. გარდა ამისა, 2018 წელს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა (შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე - სათადარიგო ღუმელის მოწყობა-ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე - სათადარიგო (ბრძანება N2-724; 30/08/2018), ასევე 2021 წელს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა (შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (აირგამწმენდი სისტემის 480 000 მ³/სთ წარმადობის გამწოვი ვენტილატორის ახალი 560 000 მ³/სთ წარმადობის ვენტილატორით შეცვლა, არსებული მექანიკური გამაგრებების თანამედროვე ტიპის გამაგრებებით შეცვლა და 70 000 მ³/სთ წარმადობის დამატებითი ვენტილატორის მოწყობა) და შესაბამის სკრინინგის გადაწყვეტილებაში (ბრძანება N2-212; 16/02/2021) აღნიშნულია, რომ ელექტრორკალური ღუმელის წარმადობა შეადგენს 30 ტ/სთ-ს. შესაბამისად, ელექტრორკალური ღუმელის წარმადობა საჭიროებს დაზუსტებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია:<br>იხილეთ გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 4.3.<br>ღუმელის წარმადობა 30 ტ/სთ-დან 35 ტ/სთ-მდე გაიზარდება მიწოდებული ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდით, რაც დააჩქარებს დნობის პროცესს.                        |
| 5    | ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (ზღგ) მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ ცხრილში 6.1. („მაგნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება“) მოცემულია გრეიფერის 15 გაფრქვევის წყარო, თუმცა დახართში 3 („ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის პროგრამული ამონაბეჭდი“) გრეიფერის 16 გაფრქვევის წყარო. N16 გაფრქვევის პროგრამული ამონაბეჭდი“ მოცემულია თვითმცლელი. აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას/დაზუსტებას. როგორც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (ზღგ), ისე გზშ-ის ანგარიშში.   | შენიშვნა გათვალისწინებულია:<br>შესაბამისი ცვლილება შეტანილია ზღგ-ს ნორმების პროექტში და გზშ-ს ანგარიშში. გაფრქვევის N16 წყაროს წარმოადგენს ჯართის თვითმცლელი ავტომატურიდან ბადიაში ჩატვირთვის პროცესი ფოლადსა და ნიჟარ საამქროში |
| 6    | ამასთან, გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სამინისტროს 2020 წლის 29 მაისის N48 სკოპინგის დასკვნით მოთხოვილი ინფორმაცია, კერძოდ:   |  |
| 6.1. | გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში ნედლეულის მიღებისა და დასაწყობების პირობები, ნედლეულის მიღების სიხშირე, თუმცა დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას ნედლეულის მიღების სიხშირის შესახებ;   | შენიშვნა გათვალისწინებულია:<br>იხილეთ გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 4.2.2.2.  |
| 6.2. | სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირების შედეგად გარემოს შესაძლო დაზიანებების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური  | შენიშვნა გათვალისწინებულია:<br>იხილეთ გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 6.7.5.  |



|      |   |   |
|------|---|---|
|      | <p>ინფორმაცია და ღამის საათებში (წედლეულისა და პროდუქციის შემოწმების/გაზიანების) გადაადგილების აკრძალვის საკითხები. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სატრანსპორტო ოპერაციები როგორც წესი სრულდება დღის საათებში“ (თავი 6.7.5), თუმცა არაფერია ნახსენები ღამის საათებში გადაადგილების აკრძალვის თაობაზე. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გემ-გრაფიკი, ასევე დაზუსტებას საჭიროებს ღამის საათებში ტრანსპორტირების გადაადგილების აკრძალვის შესახებ ინფორმაცია;</p>   | <p>როგორც 6.7.5.1. პარაგრაფშია მოცემული ჯარათის მიწოდებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციისათვის აუცილებელი სატრანსპორტო ოპერაციები განხორციელდება უმეტესად დღის საათებში (06:00-დან 23:45 საათამდე). გარდა საგანგებო სიტუაციისა ან მთავრობის მოთხოვნისა.</p> <p>ქარხნის ტერიტორიაზე წედლეულისა და მზა პროდუქციის გადაადგილება დაშვებულია 24 საათის განმავლობაში.</p> <p>აქვე ინდა აღინიშნოს, რომ ქარხნის წედლეულით მომარაგებისა და წარმოებული მზა პროდუქციის რეალიზაციისათვის ქ. რუსთავის საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე გამავალი საავტომობილო გზების გამოყენება არ ხდება.</p>   |
| 6.3. | <p>სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზმ-ის ანგარიშს თან უნდა ერთოდეს სანიაღვრე წყლების ჩაშვების შესახებ სანიაღვრე არხის მფლობელთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ცხრილში 10.1 („სკოპინგის ფაზაზე პროექტთან დაკავშირებით შემოსულ შენიშვნებზე და წინადადებებზე რეაგირება“) მითითებულია, რომ კონკრეტული ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია გზმ-ს ანგარიშში პარაგრაფში 4.4.1.3. აღნიშნულ თავში მითითებულია, რომ „N3 სალექარში მოხვედრილი სანიაღვრე წყლები გაქმნდის შემდეგ გაედინება ტერიტორიის გარეთ და ჩართულია დავით გარეჯის ქუჩაზე გამავალ ქალაქის სანიაღვრე არხში“ (გვ. 41), თუმცა შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ზემოაღნიშნულ თავში და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება;</p> | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია:</p> <p>გზმ-ს ანგარიშის 4.4.1.3. პარაგრაფში გაპარული იყო უზუსტობა, კერძოდ: N1 სალექარში გაქმნდილი წყალი ემატება ტექნიკურ წყალმომარაგების სისტემას და სრულად გამოიყენება ტექნიკური მიზნებისათვის. სანიაღვრე წყალი, რომელიც შედის N3 სალექარში, დაკავშირებულია ნედლი წყლის სალექარ აუზთან ქარხნის ტერიტორიაზე (ნახაზი 4.4.1) და გამოიყენება ტექნიკური მიზნებისათვის. ის ხდება ჩაკეტილი წყლის ზრუნვის სისტემის ნაწილი. ქარხნის ტერიტორიიდან წყალი არ გაედინება. N2 და N4 სალექარებში შემგროვებული სანიაღვრე წყალი დამუშავების შემდეგ უერთდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ საყოფაცხოვრებო საკანალიზაციო ხაზს, შემდეგ კი ქალაქის კოლექტორს.</p> |
| 6.4. | <p>სკოპინგის დასკვნის თანახმად, აღმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქალქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საწარმოო ზონა 1-ში (იზ-1). დადგენილების დანართი 3-ის მე-6 მუხლის შესაბამისად, საწარმოო ზონა (იზ-1) არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო</p>   | <p>შპს ჯეოსთაილის მიერ 2020 წლის 10 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილია სკოპინგის ანგარიში - შპს ჯეოსთაილის მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საწარმოში ახალი ინდუსტრიული ღუმელის დამატებას. სილიკო-</p>   |



|   |  |   |
|---|--|---|
|   | <p>ომიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საბიოთაო/მავნე საწარმოო პროცესები. იმის გათვალისწინებით, რომ ომიექტის ფუნქციონირება დაკავშირებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საბიოთაო/მავნე საწარმოო პროცესებთან, მითითებულ ზონაში მშენებლობის განხორციელება ეწინააღმდეგება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების მოთხოვნებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმო ფუნქციონირებს 2007 წლიდან, ხოლო 2007 წლამდე ამ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ხიდური აქწეების ქარხანა. გამომდინარე აღნიშნულიდან, საწარმოს ტერიტორიისათვის საწარმოო ზონა 1-ის სტატუსის მინიჭება არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულ გადაწყვეტილებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ჯეოსთილის“ გადაწყვეტილებით სილიკონმანგანუმის საწარმოს პროექტის განხორციელება ამ ეტაპზე აღარ იგეგმება, ხოლო არსებული საწარმოს წარმადობის გაზრდა ახალი საწარმოო ომიექტების მოწყობასთან დაკავშირებული არ არის.“ გზმ-ის ანგარიშს თან უნდა ერთოდეს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისათან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;</p> | <p>მანგანუმის ჩამოსასხმელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას და მეტალურგიული საწარმოს წლიური წარმადობის გაზრდას 175000 ტონიდან 300000 ტონამდე. სამინისტროს მიერ 29.05.2020 წ. გაცემულია სკოპინგის გადაწყვეტილება N48, რომელშიც აღნიშნულია, რომ „აღნიშნულ ზონაში მშენებლობა ეწინააღმდეგება ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების მოთხოვნებს“. მას შემდეგ, რაც ჩვენ გადაწყვეტილებით უარი გვეთქვა სილიკო მანგანუმის პროექტზე (გთხოვთ, იხილოთ N142/20 წერილი 04.09.2020), დაგვთანხმდნენ, რომ შეგვეძლო გზმ-ს წარდგენა. მინისტრის მოადგილე ნინო თანდილამვილისათვის N142/20 წერილის წარდგენის შემდეგ, ჩვენ მოგვცემა საშუალება, წარგვედგინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია, ზონის ცვლილების გარეშე. (წერილის ასლი მოცემულია გზმ-ს ანგარიშის დანართში N9).</p> <p>როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული, ქარხნის წარმადობის გაზრდა ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან ან ტექნოლოგიური ციკლის ცვლილებასთან დაკავშირებული არ არის და შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება საკრებულოს აღნიშნულ დადგენილებას (გათვალისწინებული არ არის დამატებით ახალი საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობა).</p> |
| 7 | <p>გზმ-ის ანგარიშის ცხრილში 4.4.1.3.1 მითითებული N4 სალექარის GPS კოორდინატები (X-502525; Y-45990396) არასწორია და საჭიროებს კორექტირებას;</p>   | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია:</p> <p>იხილეთ გზმ-ს ანგარიში პარაგრაფი 4.4.1.3., ცხრილი 4.4.1.3.1.</p>   |
| 8 | <p>წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ საწარმოში დამონტაჟებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემები, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მონიტორინგი მოხდება ინსტრუმენტული მეთოდით (უწყვეტი მონიტორინგი), საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილების შესაბამისად. თუმცა დოკუმენტი არ მოიცავს თვითმონიტორინგისთვის შეჩენილი მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის შესახებ ინფორმაციას, რაც საჭიროებს დაზუსტებას.</p>   | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია:</p> <p>იხილეთ გზმ-ს ანგარიში პარაგრაფი 4.2.2.4.1.</p>  |